07/07/2026

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია მოქმედ სასულიერო პირებს თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტის ელექტრონული ფორმატით გავლის შესაძლებლო

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ შიო III- ის ლოცვა-კურთხევით, 2027-2028 აკადემიურ წელს თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია მოქმედ სასულიერო პირებს სთავაზობს სასწავლო კომპონენტის ელექტრონული სწავლების ფორმატით გავლას თეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

აღნიშნულ საბაკალავრო პროგრამაზე მოქმედი სასულიერო პირები ჩაირიცხებიან დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად – ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ქულისა და სასწავლებლის მიერ დადგენილი, შიდა გამოცდების წარმატებით დაძლევის ამსხველი ქულების ჯამის საფუძველზე. ჩარიცხული სასულიერო პირები შეძლებენ პროგრამით დადგენილი 275

კრედიტიდან, ელექტრონული ფორმატით, დისტანციურად, ისწავლონ 60 კრედიტის შესატყვისი სასწავლო კომპონენტი (ერთი სასწავლო წლის განმავლობაში), ხოლო შუალედური და დასკვნითი გამოცდები ჩააბარონ თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში.

მიღებული გადაწყვეტილება ასევე გავრცელდება იმ სასულიერო პირებზეც, რომლებიც დარეგისტრირდნენ 2026 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და წარმატებით შეძლეს ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის ჩაბარება.

დამატებითი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, მსურველებთან საორიენტაციო შეხვედრები დაიგეგმება 2026 წლის 14 სექტემბრიდან. შეხვედრების განრიგი გამოქვეყნდება სასწავლებლის ოფიციალურ ვებგვერდზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 47⁴ მუხლის მე-5 პუნქტისა და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროების ჩამონათვალის, აგრეთვე, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების მაქსიმალური რაოდენობის, რომელთა ფარგლებშიც ელექტრონული სწავლება იქნება დაშვებული, დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების საფუძველზე.

[საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური]